

## 2009-2010 წლების ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი

ძირითადი საბაკალავრო პროგრამის დასახელება	ფსიქოლოგია
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი ქართულად და ინგლისურად	სოციალური მეცნიერების ბაკალავრი (ფსიქოლოგია) BA in Social Sciences (Psychology)
საბაკალავრო პროგრამის თანახელმძღვანელები (CV) შენიშვნა: პროგრამა შემუშავდა 5 პროფესორის ერთობლივი მუშაობით. გვარები მითითებულია ანბანური თანმიმდევრობით.	ბელქანია ნოდარი, თსუ სრული პროფესორი გაგოშიძე თამარი, თსუ სრული პროფესორი წერეთელი მზია, თსუ სრული პროფესორი ჩიტაშვილი მარინე, თსუ სრული პროფესორი ია კუტალაძე, თსუ სრული პროფესორი
საბაკალავრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება (მიზანი, სწავლის შედეგი, დასაქმების სფეროები, სწავლის გაგრძელების საშუალება)	<p>ბაკალავრიატში ფსიქოლოგიის პროგრამის მიზანია სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა: გაეცნოს და ისწავლოს, ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების მრავალფეროვნება; განავითაროს კრიტიკული აზროვნებისა და რაოდენობრივი ანალიზის უნარი; დაეუფლოს წერითი და ვერბალური კომუნიკაციის ჩვევებს; მოემზადოს ზედა საფეხურის აკადემიური და პროფესიული პროგრამების დაუფლებისათვის.</p> <p>კურსდამთავრებულს (სწავლების შედეგი) შეეძლება ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების გამოყენება საზოგადოების ინტელექტუალური, ემოციონალური, ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. კურსდამთავრებულს შეეძლება დამოუკიდებლად განახორციელოს მცირე მასშტაბის კვლევა, გამოიყენოს ფსიქოლოგიური ეთიკის სტანდარტები კვლევის დაგეგმვის, განხორციელების, ანალიზისა და პრეზენტაციისას; მოამზადოს კვლევის ანგარიში და მოახდინოს კვლევის მონაცემების სტატისტიკური დამუშავება ბაზისურ დონეზე; შეეძლება ახსნას, თუ რა გავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე სოციალური, პიროვნული და სიტუაციური ფაქტორები.</p> <p>ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შედგება სამი დონის კურსებისაგან, რომელსაც მინიჭებული აქვთ სავალდებულო ან არჩევითი კატეგორია. სავალდებულო პროგრამის შესრულება აუცილებელია ფსიქოლოგიაში ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისაღებად და შეადგენს 80 კრედიტს, საიდანაც პირველი დონის კურსებს ეთმობათ 20 კრედიტი (ფსიქოლოგიის შესავალი და ფსიქოლოგიის საფუძვლები 5-5 კრედიტი თითოეული, კვლევის მეთოდები ფსიქოლოგიაში 10 კრედიტი), მეორე დონის კურსებს ეთმობათ 40 კრედიტი (კოგნიტური ფსიქოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, განვითარების ფსიქოლოგია, 10-10 კრედიტი თითოეული, შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია 5 კრედიტი, სტატისტიკა-2 5 კრედიტი), მესამე დონის სავალდებულო კურსებს ეთმობათ 60 კრედიტი (აქედან სავალდებულოა: ექსპერიმენტული ფსიქოლოგია 5 კრედიტი, განწყობის ფსიქოლოგია 10 კრედიტი, კვლევითი ნაშრომი 5 კრედიტი). აკადემიური ხარისხის მისაღებად დარჩენილი აუცილებელი კრედიტების რაოდენობა სტუდენტს შეუძლია შეავსოს საკუთარი სურვილით ერთი პირობის დაცვით საბაკალავრო პროგრამის 120 კრედიტიდან მინიმუმ 40 კრედიტი უნდა იყოს მესამე დონის კურსებით შედგენილი.</p> <p>ფსიქოლოგიის პროგრამა სტუდენტებს აძლევს საშუალებას თავად დაგეგმონ საკუთარი სასწავლო პროგრამა.</p> <p>სტუდენტებს შეუძლიათ მესამე დონის არჩევითი კურსებიდან საკუთარი სურვილით შეარჩიონ და შექმნან სასწავლო პროგრამა, ან აირჩიონ მიმართულების მიერ შეთავაზებული კონცენტრაცია.</p> <p><b>სამახსოვრო:</b> მესამე დონის ყველა კურსი არჩევითია გარდა ზემოთ მითითებული სავალდებულო კურსების. კონცენტრაციებში მითითებული კურსები ატარებს სავალდებულო, სავალდებულო-არჩევითის სტატუსს მხოლოდ მათთვის ვისაც სურვილი აქვს აიღოს რომელიმე ქვემოთ მითითებული კონცენტრაცია. კონცენტრაცია ფიქსირდება დიპლომის დანართში. ყველა სტუდენტი იღებს ერთსა და იმავე აკადემიურ ხარისხს მიუხედავად იმისა, მან აიღო კონცენტრაცია თუ თავად დაგეგმა სასწავლო პროგრამა. მესამე დონის კურსებზე წინაპირობად მოითხოვება მხოლოდ პირველი ორი დონის კურსების დასრულება სრულად ან სულ მცირე 45 კრედიტის ოდენობით.</p>

	ფსიქოლოგიის მიმართულება სტუდენტებს სწავლის პროცესის დაგეგმვისა და საკუთარი ინტერესების გათვალისწინებისათვის სთავაზობს შემდეგ კონცენტრაციებს: კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგია პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგია სოციალური ფსიქოლოგია შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია განათლების ფსიქოლოგია სტუდენტებს უფლება აქვთ არ აირჩიოს არცერთი კონცენტრაცია და თავად დაგეგმოს საკუთარი სასწავლო პროგრამა.
ძირითადი საბაკალავრო პროგრამის არჩევის ბოლო ვადა ფაკულტეტზე	IV სემესტრის ბოლოს
კონცენტრაციის არჩევის ბოლო ვადა	V სემესტრის ბოლოს
საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა	საბაკალავრო პროგრამის მსურველი უნდა დარეგისტრირდეს და დააფიქსიროს თავისი არჩევანი უნივერსიტეტში სწავლის მეოთხე სემესტრის ბოლოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ გამოცხადებულ ვადებში. კონცენტრაციის აღების შემთხვევაში საბოლოო დადასტურება უნდა მოხდეს უნივერსიტეტში სწავლის მეხუთე სემესტრის ბოლოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ გამოცხადებულ ვადებში.
სასწავლო პროგრამის სტრუქტურა -სასწავლო გეგმა (მოდულები, საგნები, შესაბამისი კრედიტები)	სასწავლო პროგრამა ფსიქოლოგიაში შედგება სავალდებულო (ძირითადი) და არჩევითი კურსებისაგან. ძირითადი კურსებია: <b>ფსიქოლოგიის შესავალი</b> , სალექციო კურსი, 5 კრედიტი (დონე 1) <b>ფსიქოლოგიის საფუძვლები</b> , სალექციო-სასემინარო კურსი, 5 კრედიტი (დონე 1) <b>კვლევის მეთოდები 1 და 2, სასემინარო კურსი</b> , 10 კრედიტი (დონე 2) <b>კოგნიტური ფსიქოლოგია 1 და 2</b> , სალექციო-სასემინარო კურსი, 10 კრედიტი (დონე 2) <b>განვითარების ფსიქოლოგია 1 და 2</b> , სალექციო-სასემინარო კურსი, 10 კრედიტი (დონე 2) <b>სოციალური ფსიქოლოგია 1 და 2</b> , სალექციო-სასემინარო კურსი, 10 კრედიტი (დონე 2) <b>შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია</b> , სალექციო-სასემინარო კურსი, 5 კრედიტი (დონე 2) <b>სტატისტიკა 2</b> , სასემინარო კურსი, 5 კრედიტი (დონე 2) <b>ექსპერიმენტული ფსიქოლოგია</b> , სასემინარო კურსი, 5 კრედიტი (დონე 3) <b>განწყობის ფსიქოლოგია</b> , სალექციო-სასემინარო კურსი, 10 კრედიტი (დონე 3) <b>კვლევითი ნაშრომი</b> , 5 კრედიტი (დონე 3) <b>სულ: 80 კრედიტი</b>

### სავალდებულო (ძირითადი) კურსები

დისციპლინის დასახელება	ტიპი	შემოდგომის სემესტრი	გაზაფხულის სემესტრი	კრედიტი
<b>დონე 1</b>				
შესავალი ფსიქოლოგიაში	ლ	<b>X</b>	<b>X</b>	5
ფსიქოლოგიის საფუძვლები	ლ/ს		<b>X</b>	5
<b>სულ:</b>				<b>10</b>
<b>დონე 2</b>				
კოგნიტური ფსიქოლოგია 1	ლ/ს	<b>X</b>		5
კოგნიტური ფსიქოლოგია 2	ლ/ს		<b>X</b>	5
სოციალური ფსიქოლოგია 1	ლ/ს	<b>X</b>		5
კვლევის მეთოდები 1	ლ/ს	<b>X</b>		5
კვლევის მეთოდები 2	ლ/ს		<b>X</b>	5
დისციპლინის დასახელება	ტიპი	შემოდგომის სემესტრი	გაზაფხულის სემესტრი	კრედიტი
სოციალური ფსიქოლოგია 2	ლ/ს		<b>X</b>	5
განვითარების ფსიქოლოგია 1	ლ/ს	<b>X</b>		5

განვითარების ფსიქოლოგია 2	ლ/ს		X	5
სტატისტიკა 2	ლ/ს	X	X	5
შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია	ლ/ს	X	X	5
<b>სულ:</b>				<b>40</b>
		<b>დონე 3</b>		
ექსპერიმენტული ფსიქოლოგია	ს	X	X	5
განწყობის ფსიქოლოგია 1	ლ/ს	X		5
განწყობის ფსიქოლოგია 2	ლ/ს		X	5
კვლევითი ნაშრომი	ს	X	X	5

## ნეირო და კოგნიტური ფსიქოლოგია

ნეირო და კოგნიტური ფსიქოლოგიის კონცენტრაცია მოიცავს ფსიქოლოგიის ორ მნიშვნელოვან სფეროს:

- კლინიკურ ნეიროფსიქოლოგიას (მოზრდილების და ბავშვების)
- კოგნიტურ ფსიქოლოგიას.

კლინიკური ნეიროფსიქოლოგია ფსიქოლოგიის დარგია, რომელიც შეისწავლის ადამიანის ქცევას, პიროვნებას, ემოციურ სფეროსა და შემეცნებით პროცესებს თავის ტვინის ორგანული დაზიანების დროს.

კლინიკური ნეიროფსიქოლოგი მაგისტრის ხარისხის მქონე ფსიქოლოგია, რომელიც სუპერვიზიით:

- აწარმოებს მოზრდილებისა და ბავშვების ნეიროფსიქოლოგიურ დიაგნოსტიკას, რაც გულისხმობს ინტელექტის, მეხსიერების, მხედველობით-სივრცითი ფუნქციების, ყურადღების, მოტორული უნარების, მეტყველების ფუნქციების, ემოციური სფეროსა და ქცევის შეფასებას;
- გეგმავს ბავშვისა და მოზრდილის ფსიქოლოგიური და ნეიროფსიქოლოგიური დახმარების სტრატეგიას და ქმნის დახმარების პროგრამას კოგნიტური თუ ქცევის პრობლემების დაძლევის მიზნით;
- ახორციელებს ნეიროფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანების ან თუნდაც მინიმალური დისფუნქციის შედეგად აღმოცენებული მეტყველების, წერა-კითხვის, თვლის, მეხსიერების, მხედველობით-სივრცითი ფუნქციების, ყურადღების, ქცევის და ემოციური სფეროს დარღვევების აღდგენისა და დაძლევის მიზნით;
- აწარმოებს მშობლების და ოჯახის წევრების კონსულტაციასა და ფსიქოგანათლებას ცენტრალური ნერვული სისტემის პრობლემების მქონე ბავშვის თუ მოზრდილის ქცევის, სწავლების, შრომითი საქმიანობის, კომუნიკაციის საკითხებთან დაკავშირებით;

- აწარმოებს მასწავლებლების კონსულტაციას ბავშვის სწავლის პრობლემების სწორი იდენტიფიკაციის, სწორი ინტერპრეტაციისა და დახმარების სტრატეგიის შემუშავების მიზნით.

**კლინიკური ნეიროფსიქოლოგი მუშაობს:**

- ნევროლოგიურ კლინიკაში სისხლის მიმოქცევის მოშლის, ქალა-ტვინის ტრავმის, ეპილეფსიის და სხვა ნერვული სნეულებების მქონე პირების დიაგნოსტიკისა და რეაბილიტაციის მიზნით;
- ნეირო-რეაბილიტაციის ცენტრში, სადაც მულტიდისციპლინური გუნდის აუცილებელი წევრია;
- ბავშვთა ნევროლოგიურ კლინიკაში და დღის ცენტრებში ბავშვების განვითარების დარღვევის თუ განვითარებაში შეფერხების დიაგნოსტიკის, სააბილიტაციო პროგრამის შემუშავებისა და სწავლების სტრატეგიის დაგეგმვის მიზნით;
- ფსიქიატრიულ კლინიკასა და ფსიქო-რეაბილიტაციურ ცენტრებში ფსიქიური აშლილობის მქონე პირების ნეიროფსიქოლოგიური დიაგნოსტიკის მიზნით და მონაწილეობს სარეაბილიტაციო გუნდში;
- ხანშიშესული პირებისათვის განკუთვნილ დაწესებულებებში როგორც მულტიდისციპ-ლინური გუნდის წევრი ხანშიშესული პირების ფუნქციური მდგომარეობის პერიოდული განსაზღვრის, მისი და ოჯახის წევრების სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარების გეგმის შემუშავების მიზნით;
- საექსპერტო დაწესებულებებში პიროვნების ფსიქიკური სფეროს შეფასებისა და მისი უნარშეზღუდულობის ხარისხის განსაზღვრის მიზნით მულტიდისციპლინურ გუნდში მონაწილეობით.

კლინიკური ნეიროფსიქოლოგი აწარმოებს პრაქტიკაზე ორიენტირებულ კვლევებს რეაბილიტაციის სტრატეგიების, ნეიროფსიქოლოგიური მეთოდების ვალიდურობის, სხვადასხვა ნევროლოგიური მდგომარეობის ნეიროფსიქოლოგიური დიფერენციალური დიაგნოსტიკის შეფასების მიზნით.

**კოგნიტური ფსიქოლოგია** თანამედროვე ფსიქოლოგიური მიმდინარეობაა, რომელიც შეისწავლის შემეცნებითი პროცესებსა და ქცევის სტრუქტურას, მათ საფუძვლად მდებარე პროცესებსა და ფსიქოლოგიურ მექანიზმებს. კოგნიტურ ფსიქოლოგიას დიდი წვლილი შეაქვს მეტყველების, აღქმისა და მეხსიერების პროცესების კომპიუტერულ მოდელირებაში. კოგნიტური ფსიქოლოგია და ნეიროფსიქოლოგია ერთობლივად იკვლევს ადამიანის ფსიქიკური პროცესების როგორც ფსიქოლოგიურ მექანიზმებს, ასევე მათი უზრუნველყოფის თავის ტვინის სისტემებს. კოგნიტური ფსიქოლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის გადაკვეთაზე აღმოცენდა დღეს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული დარგი ნეირო- და კოგნიტურ მეცნიერებებში – **კოგნიტური ნეიროფსიქოლოგია**. კერძოდ, კოგნიტური ნეიროფსიქოლოგია იკვლევს არა მხოლოდ იმას, თუ როგორ ვლავარაკობთ ან ვიგებთ სხვის ნათქვამს, როგორ ვინახავთ ცოდნას ან ვიხსენებთ წარსულის მოვლენებს, როგორ ვცნობთ სახეებს და ასოებს; მისი მიზანია ასევე იმის გარკვევა თუ თავის ტვინის რომელი სისტემების ერთობლივი ფუნქციონირება უდევს საფუძვლად ამ პროცესებს, კონკრეტული შემეცნებითი პროცესის რომელი კომპონენტი ირღვევა თავის ტვინის ამა თუ იმ სისტემის თუ უბნის დაზიანების დროს.

დღეს კოგნიტურ ფსიქოლოგიასა და ნეიროფსიქოლოგიას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ისეთი პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტაში, როგორცაა თავის ტვინის დაზიანებით გამოწვეული მეტყველების, მეხსიერების თუ აღქმის დარღვევის რეაბილიტაცია, კითხვის, წერის და თვლის პრობლემების მქონე ბავშვების დახმარება.

**ნეირო და კოგნიტური ფსიქოლოგიის მიმართულება გთავაზობთ:**

- არჩევით კურსებს ბაკალავრიატის დონეზე: ნეიროფსიქოლოგიის საფუძვლები, ბავშვის განვითარების დარღვევების დიაგნოსტიკა, შემეცნებითი პროცესების კოგნიტური მოდელები, შესავალი პათოფსიქოლოგიაში, ქრონიკული ნერვული სნეულებების ჯანმრთელობის ფსიქოლოგია, ფსიქოსემანტიკის საფუძვლები.
- სამაგისტრო პროგრამას კლინიკურ ნეიროფსიქოლოგიაში.
- მომავალში - სადოქტორო პროგრამას.

**ნეირო-და კოგნიტური ფსიქოლოგიის მიმართულებაზე წარმოებს შემდეგი კვლევები:**

- დისლექსიის მქონე ბავშვების წერა-კითხვის პრობლემების ანალიზი და დახმარების სტრატეგიები;
- მეტყველების განვითარების დარღვევების დიაგნოსტიკური მეთოდების შექმნა და აპრობაცია;
- სწავლის პრობლემების მქონე ბავშვების ადრეული იდენტიფიკაციის პრედიქტორების დადგენა;
- იმპლიციტური მეხსიერების ფორმების კვლევა;
- აუტიზმი და სენსორული ინტეგრაციის დარღვევა;
- ნეიროფსიქოლოგიური ტესტების ბატარეის სანდოობისა და ვალიდობის დადგენა ქართულ პოპულაციაზე.

**კონცენტრაციის დასრულების შედეგად მიღებული კომპტენციები:**

**ზოგადი:**

ინფორმაციის ანალიზი, შედარება, არგუმენტაცია, დისკუსია, პრეზენტაციის მომზადება და წარმოდგენა.

**თეორიული:**

- თავის ტვინის დაზიანების შედეგად სხვადასხვა სისტემების დარღვევის ნეიროფსიქოლოგიური სინდრომების შესახებ ცოდნა; თავის ტვინის სხვადასხვა სისტემების როლის შესახებ ცოდნა ადამიანის ქცევაში.
- ადამიანის კოგნიტური პროცესების სტრუქტურის, შემეცნებითი პროცესების კოგნიტური მოდელების შესახებ ცოდნა;
- ბავშვის ნორმალური განვითარებიდან გადახრის სახვადასხვა გამოვლინებების ფსიქოლოგიური მახასიათებლების ცოდნა.

კოგნიტიური და ნეიროფსიქოლოგიის მიმართულება	ფორმა	სტატუსი	სემესტრი		კრედიტი
ნეიროფსიქოლოგიის საფუძვლები	ლ/ს	სავალდებულო	X		5
შესავალი პათოფსიქოლოგიაში	ლ/ს	სავალდებულო	X	X	5
ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები	ლ/ს	სავალდებულო		X	5
ფსიქომეტრია	ლ/ს	სავალდებულო		X	5
<b>სულ:</b>					<b>20</b>
<b>სავალდებულო-არჩევითი (უნდა აირჩიოს 1 კურსი ყოველი ბლოკიდან)</b>					
<b>I ბლოკი:</b>					
ფსიქოლიანგოსტიკის საფუძვლები	ლ/ს	სავალდ/არჩევ		X	5
ქცევის გამოყენებითი ანალიზი	ლ/ს	სავალდ/არჩევ	X	X	5
მცირე ჯგუფების კვლევის მეთოდები	ლ/ს	სავალდ/არჩევ		X	5
<b>II ბლოკი</b>					
ფსიქოლოგიური კონსულტაცია	ლ/ს	სავალდ/არჩევ		X	5
ქრონიკული ნერვული სნეულებების ჯანმრთელობის ფსიქოლოგია	ლ/ს	სავალდ/არჩევ		X	5
სტიგმა, ნეგატიური წინარწმენა და დისკრიმინაცია, როგორც სოციალური სტრესორი	ლ/ს	სავალდ/არჩევ	X		5
<b>III ბლოკი</b>					
ფსიქოსემანტიკის საფუძვლები	ლ/ს	სავალდ/არჩევ		X	5
შემეცნებითი პროცესების კოგნიტიური მოდელები	ლ/ს	სავალდ/არჩევ		X	5
<b>IV ბლოკი</b>					
ქცევის ახსნის ფსიქოდინამიკური მოდელები	ლ/ს	სავალდ/არჩევ	X		5
ემოციის ფსიქოლოგია	ლ/ს	სავალდ/არჩევ	X		5
პიროვნების ფსიქოლოგია	ლ/ს	სავალდ/არჩევ	X	X	10

## სოციალური ფსიქოლოგია

**დახასიათება:** სოციალური ფსიქოლოგია არის ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც სწავლობს ადამიანის ქცევას საზოგადოებაში, სოციალური ჯგუფების ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს, ადამიანთა შორის ურთიერთობებს, ადამიანთა მიერ ერთმანეთზე გავლენის, ადამიანის მიერ სოციალური გარემოს აღქმის და შეფასების თავისებურებებს.

სტუდენტებს ექნებათ საშუალება მიიღონ თეორიული ცოდნა და დაეუფლონ კვლევით მეთოდებს ყველა ამ მიმართულებით, რაც მყარ საფუძველს მისცემს მათ შემდგომ პროფესიულ საქმიანობას.

**სწავლების შედეგი:** სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული ფლობს ცოდნას სოციალური ფსიქოლოგიის დარგში, იცნობს სოციალური ფსიქოლოგიის

საგანსა და ამოცანას, მის ძირითად ცნებებს, ისტორიას, თეორიულ მიდგომებსა და ემპირიულ შედეგებს.

**დასაქმების სფერო:** საბაკალავრო განათლების მიღების შედეგად ფსიქოლოგიის ბაკალავრს შეუძლია ჩაერთოს შესაბამის და მომიჯნავე დარგებში პრაქტიკულ საქმიანობაში, ამ საქმიანობის დამოუკიდებლად წარმართვის გარეშე. მას შეუძლია იმუშაოს სხვადასხვა ორგანიზაციაში, სადაც მნიშვნელოვანია ბაკალავრიატში სწავლის შედეგად მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც ზემოთაა ჩამოთვლილი.

სოციალური ფსიქოლოგია	ფორმა	სტატუსი	სემესტრი		კრედიტი
სოციალური კოგნიცია	ლ/ს	სავალდებულო/არჩევითი		X	5
გარემოს ფსიქოლოგია	ლ/ს	სავალდებულო/არჩევითი	X		5
ინტერპერსონალური კომუნიკაციის ფსიქოლოგია	ლ/ს	სავალდებულო/არჩევითი	X		5
მართვის ფსიქოლოგია	ლ/ს	სავალდებულო/არჩევითი	X		5
კონფლიქტის სოციალური ფსიქოლოგია	ლ/ს	სავალდებულო/არჩევითი	X		5
სქესის ფსიქოლოგია	ლ/ს	სავალდებულო/არჩევითი	X		5
მცირე ჯგუფების ფსიქოლოგია	ლ/ს	სავალდებულო/არჩევითი	X	X	5
კულტურული ფსიქოლოგია	ლ/ს	სავალდებულო/არჩევითი	X		5
პოლიტიკური ფსიქოლოგია	ლ/ს	სავალდებულო/არჩევითი		X	5
<b>სულ</b>					<b>45</b>
<b>სავალდებულო/არჩევითი – 30 კრედიტი</b>					
<b>არჩევითი კურსები (მინიმუმ 2 საგანი)</b>					
სოციალური უნარების ტრენინგი	ლ/ს	არჩევითი	X		5
გამოცდილებითი სწავლების მეთოდები	ლ/ს	არჩევითი		X	5
ბიოგრაფიკა	ლ/ს	არჩევითი	X		5
სოციალურ-ფსიქოლოგიური გავლენა	ლ/ს	არჩევითი		X	5
პროფესიული უნარების ტრენინგი	ლ	არჩევითი		X	5
<b>სულ:</b>					<b>25</b>
<b>არჩევითი – 10 კრედიტი</b>					

## შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია

<p style="text-align: center;"><b>მიზანი, მოდულის დახასიათება და სწავლის შედეგი</b></p>	<p>შეისწავლის ორგანიზაციის ეფექტურობის განამპირობებლ ფაქტორებს ინდივიდუალურ, ჯგუფურ და ორგანიზაციულ დონეზე.</p> <p>ორგანიზაციის ფსიქოლოგია შეიმუშავებს ფსიქოლოგიურ თეორიებსა და მეთოდოლოგიებს და იყენებს მათ იმ ორგანიზაციული პრობლემების მოსაგვარებლად, რომელიც ინდივიდებსა და ჯგუფებს ექმნებათ ორგანიზაციაში. ამდენად ორგანიზაციის ფსიქოლოგები თანაბრად არიან დაკავებული, როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკული საქმიანობით. „Specialy Guidelines for the Delivery of services by Industrial/Organizational Psychologists” (APA, 1981)</p> <p>შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის კონცენტრაცია უზრუნველყოფს სტუდენტების მიერ ცოდნის მიღებას ორგანიზაციული ანალიზის სამ განსხვავებულ დონეზე:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ორგანიზაციის სტრუქტურა და ფუნქციონირება;</li> <li>2. ჯგუფის შემადგენლობა და ურთიერთობა ორგანიზაციაში, სამუშაო ჯგუფების პროექტირება;</li> <li>3. პიროვნება და ორგანიზაციული ქცევა.</li> </ol> <p>სტუდენტები სწავლობენ შრომითი ქცევის სტრუქტურას, შრომის ქცევის სუბიექტის მახასიათებლებს, სამუშაოს აღწერისა და ანალიზის მეთოდებს, შრომით მოტივაციების თეორიებს, სამოტივაციო პოლიტიკის ფორმირების ძირითად ასპექტებს, შრომითი კმაყოფილებისა და პროფესიული სტრესის თეორიებს, შრომითი კმაყოფილებისა და პროფესიული სტრესის ორგანიზაციულ და პიროვნულ დეტერმინანტებს; მომხმარებლის ფსიქოლოგიას. საბაკალავრო დონეზე სტუდენტები შეისწავლიან ორგანიზაციისათვის ისეთ მნიშვნელოვან აქტივობების დაგეგმვისა და შეფასების ძირითად ასპექტებს, როგორცაა: პერსონალის შერჩევა, ტრენინგი და განვითარება, შესრულებული სამუშაოს შეფასება, სამუშაოს ანალიზი და სხვა.... მიიღებენ ცოდნას ემპირიული კვლევის მეთოდების შესახებ შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიაში.</p> <p><b>საბაკალავრო პროგრამის დონეზე</b> შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მიმართულეა გთავაზობთ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➡ <b>სავალდებულო კურსებს:</b> შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია, ადამინური რესუსრსის მენეჯმენტი, პროფესიის ფსიქოლოგია, საინჟინრო ფსიქოლოგია;</li> <li>➡ <b>არჩევით კურსებს:</b> პერსონალის შერჩევა, ორგანიზაციის ფსიქოლოგიური პროექტირება, ბიზნესის ფსიქოლოგია, მომხმარებლის ფსიქოლოგია, მცირე ჯგუფების კვლევი მეთოდები, ტრენინგი და განვითარება, შესრულებული სამუშაოს შეფასება.</li> </ul>
<p style="text-align: center;"><b>სწავლის გაგრძელების პერსპექტივა</b></p>	<p>შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიის მიმართულეა გთავაზობთ:</p>

	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ <b>სამაგისტრო პროგრამას</b> შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიაში</li> <li>➤ <b>სადოქტორო პროგრამას</b> შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიაში</li> </ul>
<b>დასაქმების სფერო</b>	<p>უკანასკნელ წლებში არსებითად გაიზარდა შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგების დასაქმების პერსპექტივა. შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგები ძირითადად საქმდებიან კერძო (ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და ა.შ.) და სახელმწიფო ორგანიზაციებში ადამიანური რესურსის მართვის დეპარტამენტებში.</p> <p>ამ კონცენტრაციით საბაკალავრო განათლების მიღების შემდეგ ფსიქოლოგიის ბაკალავრს შეუძლია დასაქმედეს HR ან პერსონალის შერჩევის სპეციალისტად კერძო ან სახელმწიფო სტრუქტურაში, ორგანიზაციის ფსიქოლოგად და სხვა.</p>
<b>მოდულის არჩევის წინაპირობა</b>	კრედიტები სწავლების I დონისათვის განსაზღვრულ აუცილებელ საგნებში.

შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია	ფორმა	სტატუსი	სემესტრი		კრედიტი
<b>სავალდებულო</b>					
ორგანიზაციული ფსიქოლოგია	ლ/ს	სავალდებულო		X	5
ადამიანური რესურსის მენეჯმენტი	ლ/ს	სავალდებულო	X		5
პროფესიის ფსიქოლოგია	ლ/ს	სავალდებულო	X		5
რეკლამისა და მომხმარებლის ფსიქოლოგია	ლ/ს	სავალდებულო		X	5
<b>სულ:</b>					<b>20</b>
<b>სავალდებულო-არჩევითი (უნდა აირჩიოს 2 კურსი ყოველი ბლოკიდან)</b>					
<b>I ბლოკი:</b>					
შესრულებული სამუშაოს შეფასება	ლ/ს	არჩევითი	X		5
ბიზნესის ფსიქოლოგია	ლ/ს	არჩევითი	X		5
ფსიქოლოგიური პროექტირების საფუძვლები ორგანიზაციებში	ლ/ს	არჩევითი		X	5
ფსიქომეტრია * შეტანალია სხვა კონცენტრაციებში, როგორც სავალდებულო ან არჩევითი საგანი	ლ/ს	არჩევითი		X	5
<b>სულ:</b>					<b>10</b>
<b>II ბლოკი:</b>					
პერსონალის შერჩევა	ლ/ს	არჩევითი		X	5
საინჟინრო ფსიქოლოგია	ლ/ს	არჩევითი	X		5
სოციალური უნარების ტრენინგი * შეტანალია სხვა კონცენტრაციებში, როგორც სავალდებულო ან არჩევითი საგანი	ლ/ს	არჩევითი	X		5
კარიერის მენეჯმენტი	ლ/ს	არჩევითი	X		5
მცირე ჯგუფების კვლევის მეთოდები * შეტანალია სხვა კონცენტრაციებში, როგორც სავალდებულო ან არჩევითი საგანი	ლ/ს	არჩევითი		X	5
<b>სულ:</b>					<b>10</b>

## პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგია

**დახასიათება:** სტუდენტს ეძლევა საშუალება გაეცნოს და ისწავლოს პიროვნების ჩამოყალიბების, განვითარებისა და ნორმალური და პათოლოგიური ქცევის ამხსნელი თეორიები. შეისწავლოს პიროვნების კვლევისა და დიაგნოსტიკის ინდივიდუალური, კლინიკური და ჯგუფური მეთოდები. ისწავლოს პიროვნების ქცევის მოდიფიკაციის ელემენტები. შეისწავლოს კულტურული და სოციალური ფაქტორების გავლენა პიროვნების ქცევის ჩამოყალიბებაში. პროგრამა აგებულია კოგნიტურ-ბიჰევიორალური მეთოდოლოგიის ფარგლებში სამეცნიერო კვლევებზე დაფუძნებულ ცოდნაზე.

**სწავლების შედეგი:** მოდულის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეეძლება: გამოადიფერენციროს პიროვნების ქცევის განსხვავებული მოდუსი; დაგეგმოს და ჩაატაროს მცირე მასშტაბის კვლევა, გაანალიზოს პიროვნების ქცევის თავისებურებანი განსხვავებულ სიტუაციებში; შეადგინოს მარტივი სადიაგნოსტიკო ბატარეა და დახასიათოს პიროვნული პროფილი კოგნიტური, ემოციონალური (ღირებულებითი) და ქცევითი პარამეტრებით; მოახდინოს გარემო სიტუაციის და სოციალური გავლენის ინდიკატორული შეფასება პიროვნების კონკრეტული ქცევის აღწერისათვის.

**მოდულზე შემოსვლის წინაპირობ:** დასრულებული სასწავლო პროგრამა სწავლების პირველი ორი წლისათვის და რომელიმე უცხო ენის ცოდნა B1 დონეზე (სასურველია ინგლისური და/ან რუსული).

**პიროვნებისა და კლინიკურის ფსიქოლოგიის კურიკულუმი:** კონცენტრაციის სასწავლო პროგრამა შედგება ორი ტიპის კურსისაგან. ესენია: სავალდებულო და სავალდებულო-არჩევითი. სავალდებულო კურსების აღება აუცილებელია ყველა სტუდენტისათვის, რომელიც რეგისტრირდება პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგიის კონცენტრაციაზე. სავალდებულო არჩევითი კურსები დაყოფილია ბლოკებად და სტუდენტი ვალდებულია თითოეული ბლოკიდან აუცილებელი წესით დაფაროს ერთი მისთვის სასურველი კურსი. მთლიანად კონცენტრაციის მოცულობაა 45 კრედიტი (აქედან 15 სავალდებულო და 30 არჩევითი).

კონცენტრაციაში გაერთიანებულ ყველა კურსზე დაიშვება ყველა სტუდენტი წინაპირობის გარეშე, რომელიც დარეგისტრირებულია, როგორც სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის ფსიქოლოგიაში ხარისხის მაძიებელი და დასრულებული აქვს პირველი და მეორე დონის კურსები სრულად ან სულ მცირე მათი 85%.

შესაძლებელია პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით სტუდენტმა აირჩიოს არჩევითი კურსის ფარგლებში ნებისმიერი სხვა კურსი, რომელიც ისწავლება ფსიქოლოგიის მიმართულებაზე თუ ეს შეესაბამება მის კვლევით ნაშრომს ან საბაკალავრო შრომას.

პიროვნებისა და კლინიკური ფსიქოლოგია					
სავალდებულო					
პიროვნების ფსიქოლოგია 1 და 2	ლ/ს	სავალდებულო	x	x	10
ქცევის სოციოპათოლოგია	ლ/ს	სავალდებულო	x		5
<b>სულ :</b>					<b>15</b>
სავალდებულო- არჩევითი. თითოეული ბლოგიდან მინიმუმ 1 კურსი					
ბლოგი A					
კლინიკური ფსიქიატრიის საფუძვლები	ლ/ს		x		5
შესავალი პათოფსიქოლოგიაში	ლ/ს		x	x	5
ბლოგი B					
ფსიქომეტრია	ლ/ს			x	5
ქცევის გამოყენებითი ანალიზი	ლ/ს		x	x	5
ფსიქოდიანგნოსტიკის საფუძვლები	ლ/ს			x	5
ბლოგი C					
იმპლაციური მეხსიერება			x		5
ნეიროფსიქოლოგიის საფუძვლები	ლ/ს		x		5
ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები	ლ/ს			x	5
ბლოგი D					
დევიაციური ქცევისა და სამართლის სოციო-ფსიქოლოგია	ლ/ს			x	5
ფსიქოლოგიური კონსულტაცია	ლ/ს			x	5
სტიგმა, ნეგატიური წინარწმენა და დისკრიმინაცია, როგორც სოციალური სტრესორი	ლ/ს		x		5
ბლოგი E					
ქცევის ახსნის ფსიქოდინამიკური მოდელები	ლ		x		5
ფსიქოლოგიის ისტორია	ლ/ს			x	5
ინტერპერსონალური კომუნიკაციის ფსიქოლოგია	ლ/ს		x		5
ჯგუფის კონსულტირება				x	5

## განათლების ფსიქოლოგია

**კონცენტრაციის დახასიათება:** სტუდენტს საშუალება მიეცემა გაეცნოს განათლებისა და სწავლის თანამედროვე თეორიებს, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდებს; გაიღრმავოს ცოდნა სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვის ფსიქოლოგიაში, აგრეთვე, დაეუფლოს კვლევის მეთოდებს და გაეცნოს მათი გამოყენების სპეციფიკას განათლების სფეროში.

**სწავლების შედეგი:** პროგრამის გავლის შემდეგ სტუდენტს შეეძლება მონაწილეობა მიიღოს სასწავლო დაწესებულებაში მიმდინარე სწავლისა და სწავლების პროცესის შეაფასებაში ძირითადი პარამეტრების მიხედვით, განსაზღვროს არსებული ხარვეზები, დაკავშირებული როგორც ბავშვის ფსიქოლოგიურ თავისებურებებთან, ასევე სწავლების მეთოდებთან და დაწესებულების ფსიქოლოგიურ კლიმატთან. სტუდენტს შეეძლება განსაზღვროს პრობლემა და ჩაატაროს მცირე მასშტაბიანი კვლევა.

**სტრუქტურა:** კონცენტრაციის სასწავლო პროგრამა შედგება სამი ძირითადი ( ა), ბ) და გ) ბლოკისგან) და ერთი დამატებითი ნაწილისგან. ძირითადი ბლოკები მოიცავენ სავალდებულოდ ასარჩევი კურსების ჩამონათვალის და სავალდებულოდ შესავსები კრედიტების რაოდენობას. სტუდენტი ვალდებულია თითოეული ბლოკიდან აირჩიოს და გაიაროს იმდენი საგანი, რამდენიც საკმარისია ამ ბლოკისათვის მოთხოვნილი კრედიტების შესავსებად. სტუდენტს ეძლევა ასარჩევი საგნების ჩამონათვალიც, რომელთაგანაც მან უნდა დააგროვოს სულ 5 კრედიტი. კონცენტრაციის ხელმძღვანელთან კონსულტირების შედეგად შესაძლებელია სტუდენტმა ეს 5 კრედიტი დააგროვოს ფსიქოლოგიის მიმართულელებაზე არსებული სხვა საგნის გავლის შედეგადაც. სტუდენტმა კონცენტრაციის გასავლელად ჯამში უნდა შეავსოს სულ 40 კრედიტი.

### პროგრამა:

#### ა) სავალდებულო არჩევითი (სულ 10 კრედიტი)

განათლების ფსიქოლოგია - 5 კრედიტი;

სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფსიქოლოგია - 5 კრედიტი;

სასკოლო ასაკის ბავშვის ფსიქოლოგია - 5 კრედიტი.

#### ბ) სავალდებულო არჩევითი (სულ 10 კრედიტი)

კონსტრუქციული ურთიერთობის უნარების ჩამოყალიბების ტრენინგი 1 - 5 კრედიტი;

კონსტრუქციული ურთიერთობის უნარების ჩამოყალიბების ტრენინგი 2

(დისციპლინის პრობლემები საკლასო ოთახში) - 5 კრედიტი;

ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა ფსიქოლოგია - 5 კრედიტი;

ბავშვთა მიმართ ძალადობა - 5 კრედიტი;

#### გ) სავალდებულო არჩევითი (სულ 15 კრედიტი)

სპეცპრაქტიკუმი სკოლის ფსიქოლოგიურ სამსახურში - 5 კრედიტი;

ფსიქომეტრია - 5 კრედიტი;

ქცევის გამოყენებითი ანალიზი - 5 კრედიტი;

ფსიქოსემანტიკის საფუძვლები - 5 კრედიტი;

#### არჩევითი (სულ 5 კრედიტი)

ემოციის ფსიქოლოგია - 5 კრედიტი;

ინტერპერსონალური კომუნიკაციის ფსიქოლოგია- 5კრედიტი;  
 ფსიქოლოგიური კონსულტაცია- 5კრედიტი;  
 ფსიქოლოგიის ისტორია- 5კრედიტი.

განათლების ფსიქოლოგიის კონცენტრაცია 2009-10 სასწ. წელი				
<b>ა) სავალდებულო არჩევითი (სულ 10კრედიტი)</b>				
განათლების ფსიქოლოგია	ლ/ს	X	X	5
სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფსიქოლოგია	ლ/ს	X		5
სასკოლო ასაკის ბავშვის ფსიქოლოგია	ლ/ს		X	5
<b>სულ:</b>				<b>15</b>
<b>ბ) სავალდებულო არჩევითი (სულ 10 კრედიტი)</b>				
კონსტრუქციული ურთიერთობის ჩვევების ჩამოყალიბების ტრენინგი 1	ლაბ.	X		5
კონსტრუქციული ურთიერთობის ჩვევების ჩამოყალიბების ტრენინგი 2 (დისციპლინის პრობლემები საკლასო ოთახში)	ლაბ.		X	5
ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა ფსიქოლოგია	ლ/ს		X	5
ბავშვთა მიმართ ძალადობა	ლ/ს		X	5
<b>გ) სავალდებულო არჩევითი (სულ 15 კრედიტი)</b>				
სპეცპრაქტიკუმი სკოლის ფსიქოლოგიურ სამსახურში	პრ.	X	X	5
ფსიქომეტრიკა	ლ/ს		X	5
ქცევის გამოყენებითი ანალიზი	ლ/ს	X	X	5
მცირე ჯგუფების კვლევის მეთოდი	ლ/ს		X	5
ფსიქოსემანტიკის საფუძვლები	ლ/ს		X	5
<b>არჩევითი (სულ 5 კრედიტი)</b>				
ემოციის ფსიქოლოგია	ლ/ს	X		5
ინტერპერსონალური კომუნიკაციის ფსიქოლოგია	ლ/ს	X		5
ფსიქოლოგიური კონსულტაცია	ლ/ს		X	5
ფსიქოლოგიის ისტორია	ლ/ს		X	5

### დამატებითი სპეციალობა (Minor) \_ ფსიქოლოგიის მიმართულება

თსუ ფაკულტეტების აბსოლუტური უმრავლესობა სტუდენტებს საშუალებას აძლევს დაეუფლოს როგორც ძირითად (ე.წ. მაჯორ), ისე დამატებით (მინორ) სპეციალობებს.

დამატებითი სპეციალობა სტუდენტს არ ანიჭებს აკადემიურ ხარისხს. დამატებითი სპეციალობის წყალობით სტუდენტი იძენს გარკვეულ საბაზო დარგობრივ ცოდნას, ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს, რომლებიც ეხმარება მას შრომის ბაზარზე და სწავლის შემდგომ საფეხურზე. დამატებითი სპეციალობა მოიცავს არანაკლებ **60 კრედიტს**.

#### ❖ სავალდებულო \_ სულ 20 კრედიტი

1. ფსიქოლოგიის შესავალი \_ 5 კრედიტი
2. ფსიქოლოგიის საფუძვლები \_ 5 კრედიტი
3. კვლევის მეთოდები 1,2 \_ 10 კრედიტი

❖ სავალდებულო-არჩევითი \_ სულ 10 კრედიტი

1. კოგნიტური ფსიქოლოგია 1,2 \_ 10 კრედიტი
2. სოციალური ფსიქოლოგია 1,2 \_ 10 კრედიტი
3. განვითარების ფსიქოლოგია 1,2 \_ 10 კრედიტი
4. პიროვნების ფსიქოლოგია 1,2 \_ 10 კრედიტი
5. შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია \_ 5 კრედიტი

❖ არჩევითი \_ სულ 30 კრედიტი

1. ადამიანური რესურსის მენეჯმენტი \_ 5 კრედიტი;
2. ბიზნესის ფსიქოლოგია \_ 5 კრედიტი;
3. გამოცდილებითი სწავლა - სწავლების მეთოდები \_ 5 კრედიტი;
4. განათლების ფსიქოლოგია \_ 5 კრედიტი;
5. გარემოს სოციალური ფსიქოლოგია \_ 5 კრედიტი;
6. დევიაციური ქცევისა და იურიდიული ფსიქოლოგია \_ 5 კრედიტი;
7. ემოციის ფსიქოლოგია \_ 5 კრედიტი;
8. ინტერპერსონალური კომუნიკაციის ფსიქოლოგია \_ 5 კრედიტი;
9. კონსტრუქციული ურთიერთობის ჩვევების ჩამოყალიბების ტრენინგი 1,2 \_ 10 კრედიტი;
10. კონფლიქტის სოციალური ფსიქოლოგია \_ 5 კრედიტი;
11. კარიერის მენეჯმენტი \_ 5 კრედიტი;
12. კულტურული ფსიქოლოგია \_ 5 კრედიტი;
13. მართვის ფსიქოლოგია \_ 5 კრედიტი;
14. მცირე ჯგუფების კვლევის მეთოდი \_ 5 კრედიტი;
15. მცირე ჯგუფების ფსიქოლოგია \_ 5 კრედიტი;
16. ორგანიზაციის ფსიქოლოგია \_ 5 კრედიტი;
17. პათოფსიქოლოგია \_ 5 კრედიტი;
18. პოლიტიკური ფსიქოლოგია \_ 5 კრედიტი;
19. რეკლამისა და მომხმარებლის ფსიქოლოგია \_ 5 კრედიტი;
20. სასკოლო ასაკის ბავშვის ფსიქოლოგია \_ 5 კრედიტი;
21. სკოლამდელი ასაკის ბავშვის ფსიქოლოგია \_ 5 კრედიტი;
22. სოციალური გავლენების ფსიქოლოგია \_ 5 კრედიტი;
23. სოციალური კოგნიცია \_ 5 კრედიტი;
24. სოციალური უნარების ტრენინგი \_ 5 კრედიტი;
25. სტიგმა, სტრესი და ჯანმრთელობა \_ 5 კრედიტი;
26. სქესის ფსიქოლოგია \_ 5 კრედიტი;
27. ფსიქოლოგიის ისტორია \_ 5 კრედიტი;
28. ფსიქოსემანტიკის საფუძვლები \_ 5 კრედიტი;
29. ქრონიკული ნერვული სნეულებების ჯანმრთელობის ფსიქოლოგია \_ 5 კრედიტი;
30. ქცევის სოციოპოლოგია \_ 5 კრედიტი;
31. ძალადობა ბავშვის მიმართ \_ 5 კრედიტი;
32. ძნელად აღსაზრდელი ბავშვის ფსიქოლოგია \_ 5 კრედიტი.